საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

განმარტებითი ბარათი

2008 წლის 21 მარტის N6017-რს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 13.577.700 ლარის ოდენობით. მიუხედავად 2010 წლის საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრისა საქართველოს კონტროლის პალატა ითხოვს 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები განისაზღვროს იგივე ზღვრული ოდენობით, რაც იყო განსაზღვრული 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, რომლის დაფინანსების მოცულობა შეადგენს 12.306.700 ლარს. 2010 წელს მომუშავეთა ზღვრული რიცხოვნობა განსაზღვრულია 400 ერთეულით, რაც შეადგენს იგივე ზღვრულ ოდენობას რაც იყო განსაზღვრული 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

საქართველოს კონტროლის პალატას 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით განსაზღვრული თანხა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

I. „შრომის ანაზღაურება" – 7.952.700 ლარი;

ხელფასი - 7.290.000 ლარი.
პრემია - 662.700 ლარი.

კონტროლის პალატის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა შეადგენს იგივე ოდენობის დაფინანსებას, რაც იყო განსაზღვრული 2009 წელს.

II. „საქონელი და მომსახურება" – 2.144.000 ლარი;

აღნიშნული მუხლით დაფინანსება განსაზღვრულია ოფისის, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯების და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად.

კონტროლის პალატის თანამშრომელთა ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის განსაზღვრული ასიგნებანი 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით შეადგენს 680.000 ლარს, რაც 70.000 ლარით ნაკლებია 2009 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.

III. „სოციალური უზრუნველყოფა" – 40.000 ლარი;

აღნიშნული მუხლით დაფინანსება განსაზღვრულია დამქირავებლის მიერ 2010 წელში გასაცემი სოციალური დახმარებისათვის.

IV. „გრანტები“ – 5000 ლარი;

აღნიშნული მუხლის მიხედვით დაფინანსება განსაზღვრულია INTOSAI-ის EUROSAI-ის და ASOSAI-ის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლობისათვის წლიური საწევრო შენატანების განსახორციელებლად.

V. „სხვა ხარჯები“ – 65.000 ლარი;

აღნიშნული მუხლით დაფინანსება ბიუჯეტის მუხლების კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის მოსაკრებლების გადახდისათვის და სადაზღვევო მომსახურებისათვის.

VI. „არაფინანსური აქტივები“ – 2.100.000 ლარი;

აღნიშნული მუხლით დაფინანსება ძირითადად განსაზღვრულია კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების დასამთავრებლად, ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის ქ. ქუთაისში და ქ. თბილისში, ასევე სხვადასხვა მანქანა-დანადგარების შესაძენად.

საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით არ არის განსაზღვრული უცხოეთიდან მისაღები კრედიტებისა და გრანტების ზღვრული ოდენობები და სხვადასხვა პროექტებში ქვეყნის მონაწილეობისათვის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანადაფინანსების სახსრები. აღნიშნულ ასიგნებათა ოდენობა ცნობილი გახდება ქვეყნის 2010 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და დამატებით იქნება ასახული კონტროლის პალატის ბიუჯეტის პროექტში ფინანსთა სამინისტროს მიერ.

შოთა თარხნიშვილი

თავმჯდომარის პირველი მოადგილე